სამღვდელოების პირდაპირი დანიშნულებაა ეკლესიის წევრთა სარწმუნოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასა და მათს ზნეობრივს განვითარებაზე იზრუნოს; მაგრამ ვერაფერ ვერ უარყოფს, რომ ადამიანის ზნეობა, მისი შინაგანი მსოფლიო, მკიდროთ შეკავშირებულია მის უფლებრივსა და ქონებრივს მდგომარეობასთან, რომლისაგანაც პირველი ხშირათ იღებს თავის შინაარსსა და ამა თუ იმ მიმართულებას; კერძოთ, თანამედროვე საზოგადოებაში გაბატონებულია ერთი ძირითადი უკუღმართობა, სახელდობრ ეკონომიური უთანასწორობა კაპიტალისტური წარმოების სახით, რომელზედაც აშენებულია ყველა დანარჩენი უთანასწორობანი. ეს ძირითადი უკუღმართობა ჰბადებს ერთის მხრით უკიდურეს სიმდიდრეს, განუსაზღვრელს ბატონობასა და მწაგვრელობას; მეორე მხრით — უკიდურეს სიღარიბეს, უფლებრივს უმწეობას, შურსა და მტრობას. რა თქმა უნდა, სანამ აღნიშნულს უკუღმართობას ადამიანთა შორის ადგილი ექნება, ყოველად შეუძლებელია ეკლესიის წევრთა დიდი უმრავლესობა ზნეობრივი განვითარების ნორმალურს გზაზე შესდგეს, ზნეობრივი სრულ-ყოფისაკენ თვალსაჩინო ნაბიჯი წარსდგას. ეს კარგათ ჰქონდათ შეგნებული პირველს ქრისტიანებს, როცა ყოველ თავისს წევრს ვალად უდებდენ — კერძო საკუთრებაზე უარი ეთქვა და მთელი თავისი მონაგები ეკლესიისა და ღარიბ-გლახაკთა სასარგებლოთ გადაედო (შეად. მათესი, თ. XIX, მუხლ. 21—24; საქმე მოციქ. V, მუხლი 1—10).

ამგვართ, სამღვდელოებას, როგორც ხალხის ზნეობრივი სიფაქიზის გუშაგ-მქადაგებელსა და აბსოლიუტური სრულ-ყოფისათვის საზრუნველად მოწოდებულს პროფესიონალურ ჯგუფს, არ შეუძლია გვერდი აუხვიოს თანამედროვე ცხოვრების ძირითად უკუღმართობას, ეკონომიურს უთანასწორობას, როგორც საფუძველს ყველა დანარჩენ უკუღმართობათა და უთანასწორობისას. ცხადია, მაშასადამე, რომ სამღვდელოება, როცა იგი თავის დანიშნულებას პირნათლათ ასრულებს, მიმდინარე ცხოვრებაზე თვალს ვერ დახუჭავს და ყურს ვერ მოიყრუებს; პირიქით, იგი ყოველ წუთს იძულებული იქნება ამ ძირითად უკუღმართობისაგან წარმოშობილს მრავალ გვარს ბოროტებასთან იქონიოს საქმე, მისს აუცილებელ შედეგებს ასეთი თუ ისეთი

ანგარიში გაუწიოს, მათ შესახებ გასაზღვრული პოზიცია დაიჭიროს. ამრიგათ, პრინციპიალური საკითხი იმის შესახებ, უნდა იღებდეს თუ არა სამღვდელ-ლოება მონაწილეობას ხალხის უფლებრივ და ეკონომიურ ურთიერთობათა სფერაში, თავისთავათ სწყდება ამნიართ: სამღვდელლოება არა თუ ზნეობ-რივთ ვალდებულია, ფაქტიურათაც კი იძულებულია—ხალხის ეკონომიურსა და პოლიტიკურს ცხოვრებაში ჩაეროოს, არსებულ საზოგადოებ-რივ და პოლიტიკურ ჯგუფთა შესახებ განსაზღვრული ალაგი დაიჭიროს. მოციქული ჰაგოე თავისი მოწათის „სტომაქშედაც“ კი ზრუნავდა (1 ტიმოთ., თ. V, მუხლ. 23),—და განა გასაცარი არ იქნება, რომ მღვდელმა, ხალხის მწყემსმა და სულიერმა მოძღვარმა, თავის სულიერ შვილთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე არ იფიქროს, მის უფლებრივსა და ეკონომიურს მისწრაფებას ანგარიში არ გაუწიოს?!—იმ მისწრაფებას, რომელზედაც, „საღვთისმეტყველო მოამბის“ სიტყვით, დამოკიდებულია „არა მხოლოდ მრავალ მილიონ სტომაქთა ბედ-იღბალი, არამედ მთელი სამოქალაქო წყობილება და ზნეობრივი თვითშეგნება უმრავლესობისა?!“ (შეად. მოსკოვის აკადემიის ჟურნალი „Богословский Вѣстникъ“ за 1905 г., декабрь, стр. 787).

ერთი სიტყვით, ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ სამღვდელლოება ხალხის პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებასაც უნდა ეხებოდეს, და არც შეუძ-ლია არ შეეხოს. აქ საკითხავია მხოლოდ ის, თუ სახელდობრ რა სახით უნდა სწარმოებდეს ეს შეხება და რა ზომამდე უნდა აღწევდეს იგი.

როგორც ვიცით, მთელი თანამედროვე საზოგადოება რამოდენსამე პოლიტიკურ ჯგუფად ანუ პარტიად დაიყო; თვითთეთლს ამ ჯგუფთაგანს აქვს განსაზღვრული პროგრამა მოქმედებისა და პარტიული დისციპლინა, რომელსაც მტკიცეთ ასრულებს და ემორჩილება ყოველი მისი წევრი. ზოგი ამ პარტიათაგანი ძველისა და არსებული წყობილების დაცვას ესწრაფება, ზოგიც ამავე წყობილებას ძირიანათ შეცვლას უპირებს და მის მაგივრათ სხვა ახალის, უფრო გონივრულისა და უმრავლესობისათვის სასარგებლო, წყობილების დამყარებას ცდილობს. ამის მიხედვით, ზემო აღნიშნული სა-კითხი ფრიად კონკრეტულ სახეს იღებს, სახელდობრ: რა განწყობილება უნდა იქონიოს სამღვდელლოებამ არსებულ პოლიტიკურ პარტიებთან: ა) უნდა შეუერთდეს ერთს რომელსამე მათგანს და მის დროშის ქვეშ იმუშაოს, ბ) საკუთარი პარტია შეჰქმნას, როგორც, მაგალითად, ჩვენს კურთხეულს თბილისში ერთი რუსის დეკანოზი მოიქცა, გ) თუ არც ერთს პარტიასთან არავითარი საპროგრამო და ტაქტიკური კავშირი არ უნდა იქონიოს, არა-მედ ყველა მათ შესახებ დამოუკიდებელი პოზიცია დაიჭიროს და მხოლოდ სიტყვითა და ზნეობრივის გავლენით შეუწყოს ხელი არსებულის სოციალურ და პოლიტიკურ უკუღმართობის მოსპობას და მის ნაცვლად თანასწორობისა

და სამართლიანობის პრინციპზე აშენებულ ურთიერთობათა დამყარებას?

მაშ ასე: სასურველია თუ არა, სამღვდლოება ერთს რომელსამე პოლიტიკურ პარტიას შეუერთდეს და მის დროშის ქვეშ იმუშაოს?

თუ გვსურს ამ საკითხზე გარკვეული პასუხი მივიღოთ, აუცილებლათ საქიროა, გავითვალისწინოთ ხასიათი როგორც პოლიტიკური პარტიებისა, ისე სამღვდლო სამსახურის. როგორც ვიცით, მთელი ქრისტიანობა დამყარებულია სინიდიხის (ანუ სარწმუნოებრივ შეგნების) სრულს თავისუფლებაზე; აქ არავითარს ძალდატანებას ადგილი არა აქვს; ყველაფერი აქ სწარმოებს და უნდა სწარმოებდეს მხოლოდ სიტყვით, რჩევა-დარიგებით ანუ ჩაგონებით და ზნეობრივი ავტორიტეტის გავლენით; ამავე პრინციპზეა აგებული სამღვდლო სამსახურიც; იგი არაა მბრძანებლობა და „იძულებითი მფლობელობა“ (принудительное властвование), „ძალდატანებითი გამგეობა“, არამედ წმინდა ზნეობრივი სამსახური, რომელსაც საფუძვლად უძევს შეგნება მხოლოდ ქრისტიანული მოვალეობისა და არა უფლების პრინციპი. — ამასთანავე ყოველი მოძღვარი ვალდებულია თანაბარის სიყვარულითა და გულ-მხურვალეობით ეპყრობოდეს თავის სამწყოს ყოველ წევრს, თანაბრათ ზრუნავდეს მთელი სამწყოს ზნეობრივ სრულყოფასა და სარწმუნოებრივ მოთხოვნილებათა დამყარებლობაზე, განურჩევლად პასაკისა, სქესისა, განათლებისა და სოციალურ მდგომარეობისა. დამნაშავეთა გასასწორებლად საეკლესიო მოძღვარს ზღოთ აქვს ერთად ერთი სიტყვიერი საშუალება: ჩაგონება და მხილება; მხოლოდ უკიდურესი დანაშაულისათვის მიმართავს ხოლმე ეკლესია ყველაზე უკიდურეს ზომას — განკვეთას ანუ ეკლესიიდან გარიცხვას. არავითარს ფიზიკურ დასჯას, ეკონომიურს გინდ იურიდიულს ზომასა და ძალდატანებას, ეკლესიაში ადგილი არა აქვს.

განვიხილოთ ახლა პოლიტიკურ პარტიათა ხასიათი. 1) ყველა ნამდვილი მოქმედი, აქტიური პარტია ორ უმთავრეს ჯგუფად განიყოფიან: ზოგი მათგანი არსებულა მთავრობას უდგია გვერდში და მის ძალას ემყარება, ზოგი კი — იმავე მთავრობას სასტიკს ომს უცხადებს და სცდილობს მის ნაცვლათ სხვა, ახალი, თავისი მომხრე მთავრობა გააბატონოს. 2) ყოველს პოლიტიკურ პარტიას შემუშავებული აქვს განსაზღვრული პროგრამა და ტაქტიკა მოქმედებისა, რომელთაც პარტიის ყოველი წევრი უარისუთქმელათ ემორჩილება და უნდა დამორჩილოს; მცირეოდენი დარღვევა პარტიული დისციპლინისა წევრის მიერ იწვევს სასტიკს ზომებს; და ეს ზომები იმდენათ უფრო სასტიკია, რამდენათაც ესა თუ ის პარტია უფრო მეტათ აქტიურია და პოლიტიკური ცხოვრების გადამწყვეტი. 3) ძველათ თუ სადმე მოიპოვება ისეთი საზოგადოება, სოფელი ან მრევლი, სადაც ორი ან მეტი სხვადასხვა გვარი პოლიტიკური პარტია არ მოქმედებდეს; ურთიერთობა მოწინააღმდეგე პარტიათა შორის — არის ბრძოლა, ბრძოლა სამკვდრო-

სასიცოცხლო, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში ნამდვილ ომად იქცევა და მოპირდაპირის დასამარცხებლად არავითარს სასტიკ საშუალებას არ ერიდება: ერთის მხრით, ბოიკოტი, მუშაობის შეწყვეტა; პოლიტიკური გაუიკცეები, საიდუმლო ტერორი და შეიარაღებული აჯანყება; მეორე მხრით—გაწვრთნილი პოლიცია, მოსყიდვა, ჯაშუშები, დატუსაღება, გადასახლება, მათრახები, ჩამოხრჩობა, საცხოვრებლის დაწვა-აკლება, ჯგუფობით დახვრეტა, ზარბაზნები, ტყვიის-მფრქვეველნი და სხვა; ერთი სიტყვით, ბრძოლა სასტიკი და შეუპოვარი!

ახლა წარმოვიდგინოთ, რომელიმე მღვდელი ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიას მიემხრო, მისი პროგრამა მიიღო და მის დიციპლინას დაემორჩილა; რა თქმა უნდა, მალე იგი ამ პარტიის პსიხოლოგიასაც შეითვისებს, მისი სიმპატიებითა და ანტიპატიით გაიმსჯვალება. და განა შეეძლება ასეთს მღვდელს, თავისი მრევლის ყველა წევრებისათვის ერთნაირათ იბრუნოს, მათზე თანაბარი ზნეობრივი გავლენა იქონიოს და თავისი ავტორიტეტით ან მოძღვრებით მათში ნამდვილი ქრისტიანული სულის-განწყობილება გამოიწვიოს? რა გულითა და რა პირით შეხვდება ასეთი მოძღვარი თავისი მრევლის იმ წევრებს, რომელნიც მოწინააღმდეგე პოლიტიკურ პარტიას ეკუთვნიან? ნუ თუ მოძღვარსა და ამათ შორის შესაძლოა იქნება იმ სულიერ თანხმობის დამყარება, საურთიერთო პსიხიური გამსჯვალვა და გრძნობა-მისწრაფებათა გარმონია, რომელიც აუცილებელს პირობას შეადგენს ნამდვილი ქრისტიანული მოძღვრობისას? ცხადია, ასეთი მოძღვარი მთელი მრევლის მოძღვრად ვერ გამოადგება, მას საერთო მამობას და სულიერს ხელმძღვანელობას ვერ გაუწევს. ადრე თუ გვიან იგი იძულებული გახდება ან პარტიას ჩამოშორდეს, ან მღვდლობაზე ხელი აიღოს; წინააღმდეგ შემთხვევაში მისი მღვდმარება მეტათ უხერხული და აუტანელი შეიქმნება.

სასულიერო მოძღვრისათვის აუცილებლათ საჭიროა სრული დამოუკიდებლობა; რამდენათაც კი შესაძლოა, იგი თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი გარეგანი ძალდატანებისაგან, მისი აზრი და მოქმედება არავითარი პოლიტიკური პროგრამითა და პარტიული ტაქტიკით არ უნდა იყოს შეზოკვილი; წინააღმდეგ შემთხვევაში თვით მისი სიტყვა და გრძნობა-მისწრაფებანიც შეზღუდულნი დარჩებიან, თითქმის ყოველგვარს ძალასა და საცხოველეს დაჰკარგავენ; მისი მხილებითი ქადაგება გახდება ცალმხრივი და მიკერძობითი; მისი აზრები და შეხედულება, მისი ზნეობრივი სოფლ-მხედველობა ვიწრო ფარგალში მოემწყვეტება. მოძღვრისათვის კი სწორეთ აზრთა და თვალსაზრისის სიფართოვეა საჭირო, რადგან მხოლოდამ პირობით შეუძლია მას იყოს „ყველასათვის ყოველივე“, პავლე მოციქულის მსგავსათ. ამ რიგათ, საეკლესიო მოძღვრის განსაკუთრებული მოწოდება მოითხოვს, რომ იგი საზოგადოთ არც ერთს პოლიტიკურ პარტიას არ მიემხროს, არც ერთი პარტიის წევრად არ ითვლებოდეს.

მაგრამ ყველაზე უფრო მეტათმად სამღვდლოება იმ პოლიტიკურ პარტიებს უნდა მოერიდოს, რომელნიც მთავრობის განსაკუთრებული მფარველობის ქვეშ იმყოფებიან, რადგანაც კავშირი ამგვარ პარტიასთან, იმავე მთავრობასთან კავშირია, ხოლო ეს უკანასკნელი ხომ პირდაპირი განმეორება იქნება იმ ცოდვისა, რომელსაც მართლმადიდებელი სამღვდლოება მთელი საუკუნოებით სწავლიდა. ეს იქნება აგენტობა მთავრობისა, მისი მუდამ კონსერვატიული პოლიტიკის დაცვა და ცხოვრებაში გატარება, რამაც ისე ძლიერ დააშორა ერთმანეთს სამღვდლოება და საზოგადოება, რომ უკანასკნელი პირველს ისე არ ახსენებს, თუ თან ეპიტეტი: „მუქთამქამელი“, „ოპსკურანტი“ და „სიბნელის მოციქული“ არ დააყოლა. ამიტომ სრულიად სამართლიანათ და გონივრულათ მოიქცა ჩვენი სამღვდლოების წარმომადგენელთა ორგანიზაციული კრება, როცა თავისი პროექტის ერთ-ერთ მუხლში გადაჭრით მოითხოვა—**„განთავისუფლება ეკლესიისა სახელმწიფოსაგან“**, ე. ი. არსებულ მთავრობისა და მისი აგენტებისაგან. ამ პრინციპს მტკიცეთ უნდა აღგვს ჩვენი სამღვდლოება და არასოდეს არ უნდა დალატობდეს მას.

რაც შეეხება საკითხს იმის შესახებ, საჭიროა თუ არა შექმნას სამღვდლოებამ თავისი საკუთარი პარტია ქრისტეს დროშის ქვეშ, მართლმადიდებლობითი მოძღვრების პრინციპების მიხედვით,—გადაჭრით უნდა ვთქვათ, რომ ეს არამც თუ საჭირო არაა, პირდაპირ მავნებელიც იქნება. ორში ერთია: ან ეს პარტია იქნება წმინდა ეკლესიური, ე. ი. სარწმუნოებრივ და ზნებრივ მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი,—ან პოლიტიკური. პირველ შემთხვევაში იგი იქნება სრულიად ზედმეტი, რადგან ეკლესიას უკვე აქვს საკუთარი ორგანიზაცია, პროგრამა და საშუალებანი მოქმედებისა; და, ამიტომ, აღარ ვიცით, რა უნდა გააკეთოს მის გვერდით მეორე მსგავსავე ორგანიზაციამ, რომელიც, ალბათ იმავე მღვდლისა და იმავე წევრებისაგან იქნება შემდგარი. მეორე შემთხვევაში კი—სამღვდლოება გაიმეორებს იმ ცოდვას, რომელსაც დასავლეთ ევროპაში „კლერიკალიზმი“ ეწოდება და რომელიც საფრანგეთის სამღვდლოებას დღესაც კი ბევრ ცრემლს აღვრევინებს. ამიტომ ძლიერ გონივრულად მოქცეულა ჩვენი სამღვდლოების დღევანდელი ორგანიზაციული კრება, როცა თავისი პროექტის ზემო აღნიშნულსავე მუხლში მოუთხოვია—**„განთავისუფლება არა მარტო ეკლესიისა სახელმწიფოსაგან, არამედ—სახელმწიფოსი ეკლესიისაგანაც“**. პროექტის ეს მუხლი იმდენათ საყურადღებოა, რომ არ შეგვიძლია აქვე არ მოვიყვანოთ მთლიანათ.

„საქართველოს ეკლესიაო,—ამბობს პროექტი,—შეეხება თავის წევრებს მხოლოდ ზნებრივი პრინციპის მხრივ, და მიზნად არა აქვს შეეხოს მათ, როგორც წევრებს სახელმწიფოსას ან რომლისამე პოლიტიკურ ორგანი-

ზაციისას. მსგავსათვე არც სახელმწიფოს აქვს უფლება ეკლესიის შინაგანს წესწყობილებასა და ცხოვრებაში ჩაერიოს, რადგან ეკლესიის მიზანი სრულებით პოლიტიკური არ არის. სახელმწიფო, როგორც ყველგან, ისე ამ შემთხვევაშიაც ვალდებულია მხოლოდ უზრუნველ-ჰყოს ეკლესიის წევრთა ნამდვილი სარწმუნოებრივი თავისუფლება და მის დაწესებულებათა ხელშეუხებლობა ეკლესიის გარეშე მდგომ პირთაგან, მაგრამ ნება არა აქვს—მის შინაგანს ცხოვრებასა და წყობილებაში ჩაერიოს.—რომ საქართველოს ეკლესიამ აიცილოს თავიდან ექვი და ბრალდება ეგრეთ წოდებულს „კლერიკალიზმში“ და თანაც სამუდამოთ საესებით განახორციელოს სარწმუნოებრივი თავისუფლების პრინციპი, აუცილებლად საჭიროა—განთავისუფლდეს არა მარტო ეკლესია სახელმწიფოსაგან, არამედ—სახელმწიფოც ეკლესიისაგან: არც სახელმწიფო უნდა ერეოდეს ეკლესიის საქმეებში და არც ეკლესია—სახელმწიფოს საქმეებში.“

დიახ, ეკლესია და სახელდობრ სამღვდლოება თავისუფალი უნდა იყოს სახელმწიფოსა და პოლიტიკური პარტიებისაგან, მაგრამ ამავე დროს არც თვითონ სამღვდლოება უნდა აძლიერებდეს რომელსამე მათგანს თვისის კავშირითა და პარტიულის მიკერძებით. საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ჯგუფთა და მოვლენათა შესახებ სამღვდლოებას უნდა ეჭიროს დამოუკიდებელი პოზიცია და ამ დამოუკიდებელის პოზიციიდან უნდა ადევნებდეს თვალყურს მთელს თანამედროვე ცხოვრებას, სხვა და სხვა გვარ პარტიათა მოქმედებასა და სწავლა-მოდღერებას; სახარების ზნეობრივი პრინციპების თვალსაზრისით უნდა განსჭვრეტდეს და აფასებდეს ყოველს მათს აზრსა (პროგრამასა) და პრაქტიკულ მოქმედებას (ტაქტიკას). იგი არ უნდა ეკუთვნოდეს არც ერთ პოლიტიკურ პარტიას, არც ერთ მათგანის დროშის ქვეშ არ უნდა მუშაობდეს; მაგრამ, როგორც გუშაგი და მღალადებელი მხოლოდ სიმართლისა და სამართლიანობისა, ყოველ წუთს მზად უნდა იყოს საეკლესიო კათედრიდან, თუ კათედრის გარეშე, თავის სულიერ სამწყსოს სიტყვითა და მამობრივის დარიგებით, საფუძვლიანის განმარტებითა და ძლიერის კრიტიკით ნათლათ აუხსნას და დაანახოს, რასაც კი მათს პოლიტიკურ ცხოვრებასა და აზროვნებაში ქრისტიანული სრულყოფისათვის მავნებელსა და საწინააღმდეგოს დაინახავს; ხოლო ყოველსავე, რაც მათს მოქმედებაში ამავე მიზნისათვის სასარგებლო და ხელშემწყობი აღმოჩნდება, ღირსეული ფასი დასდოს და მის განხორციელებას ყოველი კერძო პირის ცხოვრებაში ზნეობრივად ხელი შეუწყოს. არავითარ მიკერძებას, არავითარს პარტიულ „შენ-ჩემობას“ და მიდგომილობას სამღვდლოების ქადაგებაში ადგილი არ უნდა ექნეს. მისი სიტყვა უნდა იყოს მხოლოდ სიმართლისა და სამართლიანობის უშიშარი მქადაგებელი, განურჩევლად იმისა, თუ ვინ არის ქადაგების მიზეზი: დიდი და შეძლებული პარტიის წევრი,

გავლენიანი მოქალაქე, უმაღლესი მთავრობის წარმომადგენელი, თუ ლარბ-ლატაკი და დაჩაგრული მონა.

რა თქმა უნდა, მღვდელმა რომ ჯეროვანათ შესძლოს ამ შიშიმე და რთული მოვალეობის შესრულება, აუცილებლათ საჭიროა—იგი თვითონ საკმაოდ განვითარებული იყოს და ქრისტიანულ მოძღვრებასთან ერთათ, საზოგადოებრივი მეცნიერებაც ზედ მიწევნით ჰქონდეს შეთვისებული; წინააღმდეგ შემთხვევაში ადვილათ შეიძლება, რომ ის, რაც ნამდვლათ წინსვლისა და განვითარების მომასწავებელია, უკანდახევის მომასწავებელ მოვლენად ეჩვენოს; რაც არსებითათ ქრისტიანობრივს მოძღვრებას არ ეწინააღმდეგება, საწინააღმდეგოდ მიიჩნიოს და სხვა. ამასთანავე აუცილებლათ საჭიროა მღვდელს კარგათ ჰქონდეს შესწავლილი თვითოეულ პოლიტიკური პარტიის პროგრამა და ლიტერატურა. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი საფუძვლიანი კრიტიკაც შეუძლებელი იქნება. ამავგ მიზნით მღვდელი არ უნდა ერიდებოდეს სახალხო კრებებს; პირიქით ყოველთვის უნდა ესწრებოდეს მათ და ყოველსავე, რაც იქ ხდება, თვალ-ყურს ადევნებდეს.

მღვდელს, რასაკვირველია, ვერაფერ ვერ წაართმევს უფლებას—საკუთარი პოლიტიკური სოფლ-მხედველობა შეიმუშაოს, ყოველ საგანზე თავისი აზრი იქაიწოს; მას შეუძლია, თავისი პოლიტიკური აზრ-წმენანი სხვებსაც გაუზიაროს; მაგრამ, სანამ იგი მღვდელია, „მრავალთა“ მოძღვარი, უფლება არა აქვს რომელსამე პოლიტიკურ პარტიას ან მთავრობას შეუკავშირდეს და მათი დროშის ქვეშ იწყოს მოღვაწეობა. მისი პოზიცია არის პოზიცია დამოუკიდებელი; მისი იარაღი კი—სიტყვა და მხოლოდ თავისუფალი სიტყვაა.*)

ასეთია ჩვენი შეხედულება სამღვდელოებისა და პოლიტიკის ურთიერთობაზე. სასურველია ამ საგნის შესახებ სხვებმაც გაგვაცნონ თავისი აზრი.

არისტინი.

სამღვდელოება ნივთიერად ვისგან უნდა იყვის დამოკიდებული.

დღეს სამღვდელოება ნივთიერად სახელმწიფოსა და ხალხზეა დამოკიდებული: პირველი მას ჯაშაგირს აძლევს, ხოლო მეორე—დრამას (სოფლებში) და ფულად წვრილ შემოსავალს. სამღვდელოებას ამისთანა პირობებში

*) ამ თავის უმთავრესი მასალა ამოღებული გვაქვს პ. კუდრიავცვის სტატიიდან: „Свещенникъ и политика“ (იხ. „Церковный Вѣстникъ“, за 1906 г. №№ 2 и 3).

ცხოვრება იძულებულყოფს ემსახუროს ერთსა და მეორესაც, სავსებით კი არც ერთს: არვის შეუძლია ერთსა და იმავე დროს ორს ბატონს ერთნაირად თანასწორი ერთგული სამსახური გაუწიოს.

ცხოვრებამ დაანახვა სამღვდლოებას, რომ ეს ორკოფი მღვდმარეობა აუცილებლად უნდა მოისპოს. რა საშუალებით? ამ საკითხის პასუხად ჩვენში და რუსეთში გამოითქვა ურთიერთის წინააღმდეგი ორი მოსაზრება. ერთი ჯგუფის მოსაზრებით, სამღვდლოება უნდა იყოს ნივთიერად დამოკიდებული სახელმწიფოზე, ხოლო მეორე ჯგუფის ჰაზრით კი—ხალხზე, ანუ უყვთ, მორწმუნებზე. პირველი მოსაზრების მომხრეთა რიცხვი უფრო მეტია მეორე ჯგუფის მოსაზრების მომხრეთა რიცხვზე. თუ ჩავუკვირდებით საგანს პრინციპიალურად შეხედულების თვალსაზრისით, მაშინ ეკლესიის მსახურთათვის სულ ერთია ვინც შეინახავს მათ ნივთიერად: „უფკვეთი მცემს კეთილად აჩს;“ ხოლო თუ საგანს შევხებით იდეურ-ეკლესიური მხრით,—მაშინ სულ სხვანაირს დასკვნამდის მივალთ: ქვეშარტის ეკლესიის მსახურნი სრულიად თავისუფალნი უნდა იყვნენ ყოველგვარი დამოკიდებულებისაგან.

სამღვდელოება ნივთიერად არ უნდა იყოს დამოკიდებული სახელმწიფოზე. როგორც ვიცით, ხაზინას ცოტა ფული აქვს, და თუ სახელმწიფო იკისრებს დაუნიშნოს სამღვდლოებას გადაწყვეტილი ჯამაგირი, იძულებული კნება გააწეროს ხალხზე ახალი ხაჯა. ხარჯის მოკრეფა, ფულის ხაზინაში შეტანა, მისი გაგზან-გამოგზანა და ჩაწერ-გამოწერა არის შრომა, რომელსაც სახელმწიფო მუქთად არ გასწევს. ამისთვის მოსალოდნელია, რომ იგი მოითხოვს სამღვდლოებისაგან უფრო ერთგულ სამსახურს, ვიდრე თხოულობდა დღევანდლამდის. ხაზინიდან ჯამაგირის დანიშვნა ერთი დიდი ღირსებისაა: იხსნის სამღვდლოებას ნივთიერი სიღატაკისაგან. მაგრამ იგივე ჯამაგირი ვარდააქცევს მას აუცილებლად გულ-გრილ ფორმალისტ-მობეღედ და დააშორებს ხალხს.

სამღვდელოება ნივთიერად არ უნდა იყოს დამოკიდებული ხალხზე. ცხოვრებამ დაგვანახვა პრავალი ცუდი მხარე მრევლის მიერ სამღვდლოების ჩვენაშენახვაში. ესაა უმთავრესი იმის მიზეზი, რომ ხალხის თვალში მღვდლის ავტორიტეტი დაეცა, მან დაბადა მწყემსსა და სამწყსოს შორის უთანხმოება, შეაძულა პირველი მეორეს, დააშორა ივინი ერთმანეთს, მანვე განდევნა სასულიერო წოდებიდან საუკეთესო ძალები და სხვა სარბიელოზე მოქმედება ამჯობინებინა. იდეურ-ეკლესიური შეხედულებით ხალხის მიერ სამღვდლოების ნივთიერად დაკმაყოფილების აწ არსებული, ძველ დროიდან გარდმონაცემი, წესი არაა მოსაწონი. მოციქულის სიტყვით, ქორწინება „არს საიდუმლო დიდი“; ხშირად მღვდელი ურიგდება ფასში ჯვარსაწერს „მეფეს“, ჯერ ფულს ღებულობს, მერე იწყებს „დიდი საიდუმლოს“ შესრულებას. ცხადია, რომ ამით მღვდელი ჰყიდის საიდუმლოს და თავის მადლს ანუ ღე-

ბულობს ქრთამს, მაშინ, როდესაც ვალდებულია „უსასყიდლოდ მიღებული (მადლი) უსასყიდლოდვე მისცეს“.

ტეშმარიტი ეკლესიის მსახურნი სრულიად თავისუფალნი უნდა იყვნენ ეკლესი-
გვარ გარეშე გაჯანსიან. ასე უნდა იყოს, მაგრამ, სამწუხაროდ, სრული და-
მოუკიდებლობის მოპოვება დღეს ჩვენთვის შეუძლებელია. შეუძლებელი
ჩვენთვის, მაგრამ შესაძლებელი იყო ჩვენი პაპებისთვის, შესაძლებელია
დღეს სექტანტების სჯულის მასწავლებელთათვის. პირველნი იყვნენ მიწის
მომუშავენი, მეორეებმა იციან იგივე ხელსაქმე, რაც მათმა თანამორწმუ-
ნებმა. სრული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად საჭიროა ცოდნა მიწის
შემუშავეებისა ანუ სხვა რომლისაზე ხელობისა. სამღვდლოებამ-კი არიციან არც
ერთი და არც მეორე. მაგრამ ამაში დამნაშავეა ჩვენი სასულიერო სკოლა,
რომელიც მომავალს მოძღვარს ათასნაირი თეორიული ცოდნით ტვინს ულ-
ყებს და ცხოვრებაში გამოხადებს ცოდნას კი არ აძლევს, ისეთს ცოდნას,
რომლის საშუალებით სამღვდლოებას შეძლება ექნება სამსახურიდამ თავი-
სუფალი დრო ნივთიერად თავის უზრუნველმყოფს შრომას შესწიროს.
სამღვდლოება უნდა შეეცადოს—ნივთიერად არ იყვეს არავიზე დამოკი-
დებული. ეკლესიის მსახურთ შეშვენით იყვნენ ნივთიერის მხრივ დამოკიდე-
ბულნი ეკლესიაზედვე. მართალია, ცხოვრების საზოგადო არასასურველ პი-
რობებისა გამო ჩვენი ეკლესიის ქონება ფრად მცირეა, მაგრამ თუ ამ ეკლესი-
ისა ეღიბება ნორმალური მდგომარეობა, შეუძლია რამდენადმე უზრუნველ
ჰყოს სამღვდლოება. არასასურველი მოვლენაა, რომ დღევანდლამდის არ
გვაქვს სამრევლოები. არასასურველი მოვლენაა, რომ სამღვდლოების ნივ-
თიერ უზრუნველ ყოფის საქმე აწეწილ-დაწეწილია და მის შემოსავალს აქვს
შემთხვევითი ხასიათი. არც ისაა სასურველი მოვლენა, რომ, მაგ., ორი მე-
ზობელი მღვდელი, ერთნაირის ღირსებისანი, თანაბრად არ არიან ნივთიერ-
ად უზრუნველი ყოფილნი, არამედ ერთი მეორეზე ორჯელ მეტს შემოსა-
ვალს ღებულობს. უფრო-კი საკვირველია ასეთი შემთხვევა: შეძლებული
მონასტრები არამც თუ არავითარს მონაწილეობას არ იღებენ ღარიბ ეკლესი-
ების კრებულთა ნივთიერს უზრუნველ ყოფაში, არამედ პირიქით ლუკმას
ართმევენ მათ. ტფილისის ფერისცვალების მონასტრის ბერები სამრევლოებში
და სასაფლაოებზედ მღვდლების მოვალეობას ხშირად ასრულებენ. ამავე
მონასტრის ბერები მღვდელ-მოქმედებენ მეტეხის ეკლესიაში, წმ. ეკატერინეს
დამწვარი საყდრის კრებული-კი უეკლესიოდაა დარჩენილი. წმ. ნინოს
მონასტრის მოლოზნებმა დაისაკუთრეს სეფისკვრის გაყიდვა, სამღვდლოე-
ბის ქვრივ-ობლებს კი თავ-შესაფარი აღვილი არა აქვთ. ქვათახვის, ნათლის
მცემლის, დავით გარეჯის და სხვა მონასტრების მარნები სავსეა ღვინით,
ფშავ-ხვესურეთის სამღვდლოებას-კი ვერ უწირავს ღვინის უქონლობის გა-
მო. სანთლის ქარხანას 40.000 მანეთამდე მოქარბებული ფული აქვს, კუ-

კიის სსსაფლავოს ეკლესიის კრებული მეორე ეკლესიის აშენებას აპირობს, ბევრს მღვდელს-კი შეიღების აღსაზრდელი ფულის შეტანა გასჭირებიათ... რამდენიმე მღვდლის ასული, მოწაფე ქალი ღღესაც ვერ დადის ტფილისის საეპარქიო საქალგბო სასწავლებელში ფულის შეტანლობის გამო!

სიპიროა მოისბოს ეკლესიაში ყოველი უწესო მოვლენა და დაარსდეს „საეკლესიო ფონდი“. ამ ფონდიდან უნდა ეძლიოს სამრევლო სამღვდლოებას იმდენი ჯამაგირი მაინც, რამდენიც ეკუთვნის მარტო სავალდებულო წესების შესრულებაში, მაგ., მონათვლასა, დასაფლავებასა და ჯვრის-წერაში. ამ საგნისთვის ფონდი უნდა შეივსოს სარღვდლოების იმ ფულით, რომელიც გადაეცა საეკლესიო მამულების ჩამორთმევის დროს, ესრედ-წოდებულს მისკოვის შემნახველ საზინას. ამავე საქმეს უნდა მოხმარდეს ის მოქარბებული ფული, რომელიც დღეს აქვს სანთლის ქარხანას, მონასტრებს, სსსაფლავოს ეკლესიებს და სხვა. ამავე საგნისთვის უნდა გადაიდოს ეკლესიის ყოველი შემოსავლიდან რამდენიმე აღნადგინები, ანუ სარგებელი ($\frac{1}{10}$) იმის მსგავსად, როგორც ეძლევა სასულიერო სასწავლებლებს. შესაძლოა მოხმარდეს ამავე საგანს ეკლესიისთვის განსაკუთრებული შემოწირულებიდან სარგებლის რამდენიმე ნაწილი. იქნება ეგონოს ვისმეს, რომ ეს უკანასკნელი გარემოება იყვეს შემომწირველთა ძალის დატანება. მაგრამ აქ არავითარი ძალდატანება არაა, თუ წინათვე შეწირულების დანიშნულება ეცოდინებოთ შემომწირველთ. ძველ აღთქმაში შეწირულება ღვთისთვის აუცილებლად უერთდებოდა მღვდ. სასარგებლოდ შეწირულებას, მაგ., „ყოვლად დასაწველიდან“ უკანასკნელთ ეძლეოდათ ტყავი. ხსენებული საშუალებით გაფართოვდება ეხლანდელი გარეგნული და იწრო შეხეულება შემოწირულებაზე. განა ქემმარტი ქრისტიანული საქციელია, მაგ., მაღალი სამრეკლოს აშენება იმ ტაძრისთვის, რომლის მსახურნიც რიგიანი სახლის უქონლობისა გამო შეჯუჯულან ქობში? ნუ თუ ქემმარტი ქრისტიანული საქციელია, როდესაც მრევლის წევრი ფულს არ იშურებს ხუთას ფუთიანი ზარის სასყიდლად, ხოლო კრებულნი კი იძულებულნი არიან მათხოვრობა გასწიონ?..

საეკლესიო ფონდის დაარსება აუცილებლად საქიროა სამღვდლოებისთვის. მარტო ფონდი იხსნის მას მრავალგვარი ნივთიერ ნაკლებობათა გამო სატანჯველისაგან. ამ ფონდის დასაარსებელი წყარობიცაა; ხოლო მათ თავის მოყრა უნდა.

მღ. ი. ჯაში.

ქართული ძველი ხელთნაწერების გეგმის გამო.

როგორც ვიცით, ქართლ-კახეთის სამღვდლოების საეკლესიო სიძველეთ—საცავი სავესტა ძველი ქართული ხელთნაწერებით,—რომელიც ჩვენის მამა-პაპების განათლებისადმი ლტოლვილების და კულტურული უნარის უტყუარი მოწმები არიან. სიძველეთ-საცავის ხელთ-ნაწერებში შეხვდებით მეცნიერების ყოველ დარგის ნაწარმოებს, რაც ამტკიცებს იმ ქვეშაობების, რომ ჩვენი სახელოვანი წინაპრები ზეგარდმო მონაბერის ნიჭით უხვად დაჯილდოებულნი იყვნენ. მეცნიერებმა დიდი ხანია მიაქციეს ყურადღება ქართულს საეკლესიო სიძველეთსაცავში შენახულს ხელთ-ნაწერებს,—რომელთ გამოკვლევა შუქს ჰფენს მრავალს სამეცნიერო ხასიათის საცილობო—საკამათო საკითხს. ქართლ-კახეთის სამღვდლოება, თვისის სამშობლოს სახელოვანის წარსულის მოტრფიალე, შეძლებისდაგვარად სცდილობს უზრუნველჰყოს ხსენებული სიძველეთ-საცავი: ის ყოველ წლივ აძლევს მას ტფილისის საეპარქიო სანთლის ქარხნის შემოსავლიდან 1000 მან. სხვა და სხვა ხარჯის დასაფარავად... მაგრამ საეკლესიო სიძველეთ-საცავის ცხოვრების ერთი მხარე იყო დღემდის თითქმის დავიწყებული... ეს მხარე არსებითია საქირო იყო და არის აუცილებლად საყურადღებო ხელთნაწერების გამო-მხევება, გამოქვეყნება, დაბეჭვდა. ხელთნაწერები დროთა გავლენის გამო ფუჭდებიან... საქიროა მათი დაბეჭვდა, რომ მათი შინაარსი დაცულ იქმნას სამუდამოდ... ხელთნაწერი ყველასთვის ხელ მისაწლომი არაა, დაბეჭდილი ხელთნაწერი შეიძლება რამდენსამე ასი, ათასი ცალით ხალხში გავრცელდეს. ვის უნდა ეკისრა ეს საქმე, რომლის დიადი მნიშვნელობა ცხადია ქართველი ერის თითოეული შეგნებული წევრისათვის, უკეთეს სამღვდლოება უსახსრობისა გამო ვერ შეძლებდა მის განხორციელებას?!— ჩვენის ჰაზრით, ეს საქმე უნდა ეკისრა ჩვენს „სასულიერო მოამბე“, „ს—რომელიც აგერ შეთქვსმეტე წელიწადია, რაც იბეჭდება: ამდენისხნის განმავლობაში თითოეულს ნომერში „სასულიერო მოამბის“ რედაქციას რვა-რვა გვერდი რომ დაეთმო ხელთნაწერის დაბეჭვისათვის, დღემდის დაბეჭვდა 2880 გვერდსა, და ეს ხომ დიდი შეძენა იქნებოდა ჩვენის ეკლესიისათვის,—ერთის მხრით,—და მეცნიერებისათვის,—მეორე მხრით. თითქმის 3000 გვერდზე ბევრს საყურადღებო ხელთნაწერს მოათავსებდა რედაქცია და ამით დიდს სამსახურს გაუსწევდა ქართველს სამღვდლოებას, რომლის ინტერესთა დაცვა მის ზნეობრივს მოვალეობას შეადგენდა... მაგრამ „სასულიერო მოამბე“ს ამისთვის სად სცალოდა?... ის ადგილს უთმობდა ბევრს ისეთს მასალას, რომელსაც საქართველოს ეკლესიისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა და რომელიც ხშირად, სამწუხაროდ, შეუორცხყოფას აყენებდა ქართველს სამღვდლოებას. ვის არ ახსოვს დეკ. ვოსტორგოვის დროინდელი „სასულიერო მოამბე“?! მხოლოდ ორის

წლის განმავლობაში იბეჭდებოდა ამ ორგანოში ქართული ქადაგებები, რომელთა მნიშვნელობა ჩვენის ეკლესიისათვის საეკვოდ მისაჩნვე იყო. „სასულიერო მოამბეს“ კი, რომლის შინაასრი ქართველთა ცხოვრებაზე ისე შორს იყო, როგორც ცა-დედამიწაზე, სამღვდლოებას ძალათი აწერინებდნენ.... „სასულიერო მოამბის“ აწინდელმა სარედაქციო კომისიამ თვის მიზნად დაისახა—ეს ორგანო, —რამდენადაც კი შესაძლებელი იქნება,—საქართველოს ეკლესიის ინტერესებს ამსახუროს. ამ მიზნით 48 გვერდიდამ 24 გვერდამდის თითოეულს ნომერში —ქართულს განყოფილებას დაეთმოა მორიგ, საღვთისო წერილების დასაბეჭდად. ამას გარდა კომისიამვე შესაძლოთ სცნა ბეჭდოს ძველი ქართული შესანიშნავი ხელთნაწერები... კომისია ამ საგნის თაობაზე დაეკითხება საეკლესიო სიძველთსაცავის კომიტეტს და მისის ჩვენება-რჩევით და გვერდით შეუდგება ხელთნაწერების ბეჭდვას. კომისია ხელთნაწერის ბეჭდვის რედაქციას მიანდობს იმ პირობით, რომელთაც კომიტეტი ნდობას გამოუცხადებს. სარედაქციო კომისია ეცდება თითოეულს ნომერში მოათავსოს არა უმეტეს რვა გვერდისა ხელთნაწერიდამ. ამის მეოხებით მომავალში ხელთნაწერების მაგივრად ხელში შეგვრჩება დაბეჭდილი წიგნები, რომელთა საშუალებით გამდიდრდება სხვათა შორის ჩვენი სამღვდლოების დღეს მეტად ღარიბი წიგნთ-საცავი და მეცნიერთაც შეძლება მიეცემათ უფრო ადვილად იშოვნონ სხვა და სხვა მათთვის საჭირო ნაწერები.

ილ. ფერაძე.

ამბები და შენიშვნები.

„ცნობის ფურცელს“ სწერს საკუთარი კორესპონდენტი პეტერბურგიდან 25 თებერვალს:

ეპისკოპოსი ლეონიდი უნდოდათ სოლოვეცკის მონასტერში გაეგზავნათ. კირონი და ლეონიდი მთელი თვეა საათობიროდ არ მიუწვევიათ.

— რა მიზეზით ზრდის თავის შეილებს სამღვდლოება საერო და არა სასულიერო სასწავლებლებში? ამის მიზეზი ისაა, რომ სემინარიები საზოგადოდ დაეცა,—სასულიერო სასწავლებლებში გამეფებულია მეტად ვიწრო და იძულებითი განათლება,—სემინარია კარ-ჩაკეტილი სასწავლებელია,—მეცნიერების სწავლება მასში სიცოცხლეს მოკლებულია,—სემინარიელებს გზა შეკრული აქვს და სხვა... პროტასოვის და ტოლსტოის სახელები სამუდამოდ ზიზღის ღირსნი იქნებიან: მათ დაამახინჯეს ჩვენი სკოლა და მიიყვანეს სატირალს მდგო-

მარტობამდის. საკვირველია,—რომ ამ სკოლებში კიდევ სწავლობენ.... (მინსკის ხანძარში
 უწყებ. № 22 1905 წ.)

ამ სიტყვებს განმარტება აღარ სჭირდება.

— გაზეთი „Слово“ (№ 272) მსჯელობს სასულიერო აკადემიის ავტონომიის შესახებ და ამბობს:

„აკადემიის ცხოვრების ცვლილება უპირველეს ყოვლისა უნდა გამოიხატოს ამ სასულიერო აკადემიის ბერთა განქვევებაში, რადგანაც ახალთაობის აღზრდის საქმეში მათ სახელი გაიტენეს.“

— გაზეთი „Наша Жизнь“ნი გადმოგვცემს შემდეგს:

ხარკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა—მათემატიკურმა ფაკულტეტმა შესაძლოდ სცნო სასულიერო სემინარიაში ოთხ კლას დამთავრებულთა მიღება ხსენებულს ფაკულტეტზე.

— ყაზანის საეპარქიო კრებამ დაადგინა შემდეგი:

„სემინარიის რექტორად უნდა იყვეს თეთრი სამღვდელთა წარმომადგენელი, და არა ბერი, რადგან სემინარიამ უნდა აღზარდოს მწყემსნი და არა განდევნილი.“

(„Слово“ № 268)

— გაზეთს „Возрождение“ში (№ 1 1906 წ.) სწერია:

„რამდენსამე ქართველს ოჯახს განუძრავავს მიიღოს ანგლიკანური სარწმუნოება“

— ორიოლის საეპარქიო უწყებებში (№ 52 1905 წ.) ვკითხულობთ:

ყოვლად-სამღვდლო კირიონმა წინადადება მისცა საეპარქიო ქარხნის გამგე-კომიტეტს შეუდგეს ქარხნის კუთვნილს ტყიანს ადგილში ფუტკრის მოშენებას, რათა ქარხანას საკუთარი ცვილი ჰქონდეს. კომიტეტმა მიიღო საჭირო ღონისძიება ყოვლად-სამღვდლო კირიონის წინადადების შესასრულებლად.

ძალიან კარგი იქნება,—რომ საქართველოს ეკლესიის სანთლის ქარხნის გამგე კომიტეტები იფიქრებდნენ ამ საკითხის შესახებ. ნუთუ არ შეიძლება ჩვენს კურთხეულს ქვეყანაშიც ისე მოეწყოს საქმე, როგორც ორიოლში მოეწყოა?!

— გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად ნამყოფი ყოვლად-სამღვდლო დიმიტრი (აბაშიძე) დაინიშნა თურქესტანის ეპისკოპოსად.

— უწმიდესის სინოდის ბრძანების თანახმად, ტფილისის საეპარქიო დედათა სასწავლებლის საბჭომ დეკანოზის მარკოზ ტყემალაძის თავმჯდომარეობით შეიმუშავა პროექტი ამ სასწავლებლის რეორგანიზაციის შესახებ. საბჭომ გადასწყვიტა გადაკეთდეს აწინდელი ექვს-კლასიანი სასწავლებელი რვა-კლასიანად, საქალებო გიმნაზიების მსგავსად, პროგრამით დაუახლოვდეს გიმნაზიასვე, ქართული ენა და სიტყვიერება ვრცლად ისწავლებოდეს, — ქართველებს საღმრთო სჯულს ყველა კლასებში მშობლიურს ენაზე ასწავლიდნენ, სამს მოსამზადებელს კლასში სწავლება მშობლიურს ენაზედ იყვის. საბჭომ საჭიროდ სცნა შემოიღოს აღწვევათა წესი: სამღვდლოება უნდა ირჩევდეს სასწავლებლის უფროსს ქალს, —საპედაგოგო საბჭო

კი—ინსპექტორს (მღვდლის „ხარისხი სავალდებულო არაა), მისწავლებლებს და ყველა მსახურთა. კლასიდან კლასში გადასასვლელი გამოცდა უნდა მოიხპოს, — უნდა მოიხპოს აგრეთვე „ნიშნები“ და სხვა... სასწავლებელს განაგებს სახელმწიფო საბჭო, რომელსაც ემორჩილებიან უფროსი ქალი და ინსპექტორი. საგანთა შორის უნდა შემოღებულ იქნას შემდეგი ახალი საგნები: ფრანგული ენა (სავალდებულო), ბუნების-მეტყველება, პედაგოგიკა, ტრიგონომეტრია, ალგებრა, ჰიგიენა, პოპულიარული (სახელდახელო) ექიმობა. სასწავლებელს ექნება საქალებო გიმნაზიის უფლებანი... საპედაგოგიო საბჭომ შეადგინა პროექტი შერეული სასწავლებლისა (ქართველები, რუსები, ბერძნები და სხვანი), მაგრამ ამასთანავე ბოლო სიტყვაობაში შემდეგი პაზრი გამოთქვა: ამ პროექტს უცქერის საბჭო, როგორც თვის საკუთარს შრომას და არ შეუძლია დამტკიცებით სთქვას, — რომ დააკმაყოფილებს ქართველს სამღვდლოებას, რომელსაც, როგორც სჩანს სხვა და სხვა დროს ბეჭდითი სიტყვის საშუალებით მის მიერ გამოთქმულ შეხედულებათაგან, სურს იქონიოს ეროვნული სასწავლებელი მშობლიურს ენაზე საგნების სწავლებით, — ისე კი რომ მასში რუსული ენაც საფუძვლიანად იყვეს დაყენებული. საპედაგოგიო საბჭოს პედაგოგიურ მოსაზრებათა გამო არ შეუძლია თანაგრძნობით არ მოეკიდოს ქართველ სამღვდლოების აღნიშნულს სურვილს. ჩვენს გამოცემის რუსულს განყოფილებაში ეს პროექტი ვრცლად დაიბეჭდება შესაფერის განმარტებით.

◆ 28 დეკემბერს 1905 წელს უწმინდესმა სინოდმა გაათავისუფლა დეკ. სერგი გაროდცევი ტფილისის საეპარქიო დედათა სასწავლებლის ინსპექტორის თანამდებობიდან და იმის ადკილს დანიშნა ქუთაისის მთავარანგელოზის ეკლესიის წინამძღვარი ახალგაზრდა დეკანოზი კორნელი კეკელიძე, — რომელმაც 1904 წელს დაამთავრა სწავლა კიევის სასულიერო აკადემიაში ღმთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით.

◆ 8 თებერვალს უწმ. სინოდმა დაადგინა შემოღებულ იქმნას ზოგჯერთნი ცხელიანის სასულიერო სემინარიებში დროებითის ხასიათისა, სანამ სემინარიის წესდებულება გადისინჯებოდეს:

უნდა გაფართოებულ იქმნას სამოსწავლო წიგნთ-საცავი. შეიძლება წიგნების მოპოება მოწაფეთა თხოვნითაც... კეთილ-საიმედო მოწაფეებს შეიძლება მიენდოთ წიგნთ-საცავის უახლოესი გამგეობა ნება-დართულია სემინარიებში სამკითხველოების გახსნა და ამ სამკითხველოთათვის ქურნალ-გაზეთების გამოწერა. ნება დართულია საერო წოდების შვილთა მიღება 10% ზევით (აქამდის მათი მიღება 10% იყო შეზღუდული). დიდმარხვის პირველს კვირაში მოწაფეებს შეუძლიათ მშობელთა და ნათესავთა ადგილ-სამყოფელშიც ეზიარონ და სხვა...

სჩანს, რომ განმათავისუფლებელს მოძრაობას უწმიდესი სინოდიც დაუფიქრებია სასულიერო სასწავლებლების და სემინარიათა სვე-ბედის შესახებ. მართლაც, რომ ეს სასწავლებლები სამწუხარო მდგომარეობაში იყვნენ.

წარსულის დროის ნაძირალი გონებას უბზავდა შათს მოწაფეებს. მათთვის გზა ხსნილი არ იყო. პედაგოგიური სალი მოთხოვნილებანი უკუგდებულ იყვნენ ამ სასწავლებლებში. აღზრდის განსაკუთრებული ძველის ხასიათის სისტემა აჩვენდა მოწაფეებს „გარეგანს კეთილ-მსახურებას“, მაგრამ გული კი მათი შორს იყო ღვთისაგან. სწავლების და აღზრდის სისტემა მიზანს ვერ აღწევდა. სემინარიელთა მრავალ-სიტყვაობა შათის გონების საღაროს სიღარიბის უტყუარი მაჩვენებელი იყო. მოწაფეები შორს იდგნენ სოფლიდამ, ხალხიდან, არ იცნობდნენ ცხოვრებას და მის ათსგვარ მოთხოვნილებას... საუკეთესო წიგნთა კითხვა მათთვის აკრძალული ხილი იყო... ჟურნალ-გაზეთების კითხვისთვის სასტიკად სჯიდნენ... ასე იყო ყველგან და ასე იყო ჩვენებურს სემინარიებსა და სასულიერო სასწავლებლებში. დღეს სჩანს, ამ სასწავლებელ-სემინარიებს სხვა ბედი მოელოთ... მათზედაც გადმოუხენდია უფალს მოწყალე თვალით.

— წელს სასულიერო და საეპარქიო სასწავლებლებში სწავლა 15 თიბათვემდის გაგრძელდება. საეპარქიო სასწავლებლის მექვესე კლასის მოწაფეებს კი გამოცდა პირველს თიბათვეს დაწვევათ. დანარჩენს კლასებში მოწაფეებს კლასიდან კლასში გამოუცდელად, წლის ნიშნების მიხედვით, გადაიყვანებენ.

— რიგის მღვდელთ-მთავრმა აგათანგელმა დიდად გაითქვა სახელი ბალტიის ზღვის პირს მღებარე ქვეყანაში რევოლიუციის ჩაქრობის დროს. სამხედრო პირთა წინაშე იმან აღძრა შუამდგომლობა, რათა დამაზავებებს ლიბერალ მოპყრობდნენ და ტყუილა-უბრალოდ არაფერ დაესაჯათ. მისმა შუამდგომლობამ შესაფერი ნაყოფი მოიტანა. ხსენებულ ქვეყნი მცხოვრებნი, გვარ-ტომობის და სარწმუნოების განურჩევლად, მაღლობას უძღვნიან ყოვლად-ღირის მღვდელ-მთავარს.

ქვემოდ მოყვანილი მისი წინადადება კონსისტორიისადმი ამტკიცებს ამ მღვდელმთავრის მაღალს სულის-კვეთებას:

ბალტიის მხარეს ამ უკანასკნელს დროს მომხდარ სარევოლიუციო მოძრაობის უბედურს დღეებში, მართლმადიდებელ ესტთა და ლათინთა და აგრეთვე რუსთა ოჯახებს დაეკარგათ მრჩენელი და გალატაკდნენ; ძლიერ ბევრია უდვდ-მამო ობლებიც, სიყვარულისა და ქრისტიანობის ქველმოქმედების გრძობის და აგრეთვე სამწყემსო მოვალეობის ჩავონებით, გვსურს რა ხელი გავუშართთ ამ უბედურებს, საჭიროდ ვთვლი, ჩემისავე თაგმჯდომარეობით დაეარსო კომიტეტი სასულიერო და საერო პირთაგან მათდა შესაწევრად („Черк. Вѣд.“ № 6 1906 г.)

კომიტეტი დაარსებულ იქმნა და მოქმედებას შეუდგა. ჩვენშიც ბევრი იმსხვერპლა რევოლიუციამ, ბევრს ოჯახს მოაკლდა პატრონი და მრჩენელი; ბევრი უსახლკაროდ დარჩა; ობოლთა რიცხვი მეტად დიდია...

— რუსეთის სახელმწიფოს ბოლო დროს ორი მილიარდი ვალი მოემატა. („Колокол“ № 36 1906 г.)

— პეტერბურდში დაარსდა „სახალხო მშვიდობიანობის“ საზოგადოება, რომელსაც მიზნად აქვს მოარიგოს მებატონე და გლეხი ღ შუამდგომლობა გაუწიოს გლეხს მთავრობის წინაშე.

➔ იაპონია გაფაციკებით აძლიერებს თავის ფლოტსა. გემებს იაპონელები ამზადებენ თავისვე ნავოსადგურებში. იაპონიამ ფლოტი ერთი ორად გააძლიერა.

➔ დეკანოზი ვასტარგოვი, საქართველოს საექსპარტო-საგადასახადო-საკოლმე-ობის მეთვალყურედ ნამყოფი, დანიშნულ იქმნა მოსკოვის მისიონერ-მქადაგებლად.

* * *

*

➔ დუშეთის მაზრის საეკლესიო-სმრევლო სკოლების მეთვალყურედ დანიშნულ იქმნა, მღვდლის ნ. კანდელაკის ნაცვლად, მღვდელი მოსისტოვი, რომელმაც, როგორც ადგილ-ლობრივი გაზეთები გადმოგვცემენ, ქართული ენა არ იცის.

ვინ გაიგებს, თუ როგორაა დაყენებული ქართული ენის და საღმრთო სჯულის სწავლება სკოლებში, უკეთეს მეთვალყურემ ადგილობრივი ენა არ იცის?...

➔ ხუთის მარტიდამ 1906 წლისა დაიწყებს გამოსვლას გაზეთი „**ი ვ მ რ ი ა**“, რომელიც ყოველ დღიურ გაზეთიდან ყოველ კვირიულ გაზეთად გადაკეთდება. რედაქტორად იქნება ისევ ფ. გოგიჩაიშვილი. წლის დამლევამდის გაზეთი ეღირება 3-ს მანეთად; ხოლო ხუთის თვით—2-ს მანეთად.

ძლიერ სასიამოვნოდ მიგვაჩნია, რომ გაზეთმა „ივერიამ“, რომელიც ფრიად დამსახურებულია ჩვენის ერის წინაშე, თვისი არსებობა არ შეწყვეტა. ეს სურვილთა მას წარმატებას ჩვენის ერის სასარგებლოდ.

➔ ქალ. ტფილისში ბ. ლუკა ბაზტაძის რედაქტორობით გამოვიდა ახალი გაზეთი სახელად „**ახალი დროება**“ წლიური ფასი 5 მანეთია, 6 თვით 3 მან., თვიურად—50 კაპ. ამ გაზეთის პირველმა ნომერმა მკითხველების უმრავლესობაზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

➔ როგორც ვიცით, ამას წინად შეჩერებულ იქმნა გაზეთის „**ბატარა გაზეთის**“ გამოცემა ტფილისის სამხედრო გუბერნატორის განკარგულებით. 26 თებერვლიდამ იმავე გუბერნატორმა ნება დართო ამ გაზეთის კვლავ გამოსვლისა. გაზეთი ყოველდღიურია. წელიწადში ღირს 3 მან.

➔ ბ. ვლად. დარჩიაშვილმა მიიღო ნებართვა გამოსცეს ქართულს ენაზე გაზეთი: „**სიმართლე**“.

➔ ტფილისის სასულიერო სემინარიაში სწავლა დაიწყება ამ წლის ენკენისთვიდამ.

➔ 5 მარტიდან დაიწყებს გამოსვლას ბატ. თ. კიკვაძის რედაქტორობით ახალი ქართული გაზეთი: „**ბ ა ნ თ ი ა დ ი**“.



Объявление.

„АМЕРИКАНСКІЙ ПРАВОСЛАВНЫЙ ВѢСТНИКЪ“ И „АНГЛІЙСКІЯ ПРИЛОЖЕНІЯ“

(*Органъ Православной Американской Мисіи*)

въ 1906 году.

Условія подписки: Одно русское изданіе „Американскаго Православнаго Вѣстника“ два долл. или четыре руб. „Англійскія Приложенія“ къ Амер. Прав. Вѣстнику (ежемесячно, книжками отъ 32 стр.) 1 долл. 50 п. или три рубля. „Амер. Прав. Вѣстникъ“ съ Англійскими приложеніями: три долл. или шесть рублей.

Адресъ: Rev. а. а. Hotovitzky 15 E. 97 th stc. New York City.

Содержаніе № 5. Часть неофициальная: Поученіе. Свящ. Гр. *Буянова*. Священникъ и Политика. *П. Кудрявцева*. Капиталы Грузинской церкви. *А. Натроева*. — Краткій очеркъ церковно-исторической жизни Грузіи отъ появленія въ ней христіанства и до нашихъ дней. Свящ. *Н. Покровскаго*. — Изъ иноепархіальной жизни. *С. Н. П.* — Разныя извѣстія и замѣтки. — Объявленіе. **ქართული განყოფილება:** შენიშვნა ტფილისის სამღვდლოების 1905 წ. 12 დეკემბრის განაჩენის გამო. მღ. *კ. ცინცაძის*. — ეკლესია და პოლიტიკა. **პრინციპისა.** — სამღვდლოება ნიეთიერად ვისგან უნდა იყვეს დამოკიდებული. მღვდ. *ი. ჯაშისა*. — ქართული ძველი ხელთნაწერების ბეჭდვის გამო. **ილ. შარაძისა.** — ამბები და შენიშვნები.

Редакторъ, свящ. *Н. Покровскій*.

Редактирующій грузинскій отдѣлъ *Ил. Перадзе*.

Скоропечатная А. В. Кутателадзе. Фрейлинская ул., № 12.